ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N198/ბ

ქ. თბილისი

„11“ „ოქტომბერი“ 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორეს მხრივ, შპს ,,უნივერსალმშენი", (შემდგომში „მიმწოდებელი”) მისი დირექტორის კახა ასლამაზაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV კოდი 45300000) და „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება გაუწიოს ზემოაღნიშნული სარემონტო სამუშაოები „შემსყიდველს“ 4949.80 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარად დღგ.-ს გათვალისწინებით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელდება თანდართული ხარჯთაღრიცხვის (დანართი 1) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. სამუშაოს პირობები: ადგილი და ვადა

4.1. „მიმწოდებელმა“ იკისრა ვალდებულება შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაოები, ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 კალენდარულ დღეში.
4.2. სამუშაო განხორციელდება ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.3. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, წინამდებარე ხელეკრულების მე-16.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორების მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზედაც მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარებისთვის „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია ფორმა N2-ის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. “მიმწოდებელი” ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს სამუშაოების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.3. მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში.
7.1.4. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო „შემსყიდველის„ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
7.1.5. სამუშაოების წარმოებისას უზრუნველყოს უსაფრთხოების დაცვა;
7.1.6 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. “შემსყიდველი” ვალდებულია:

7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს “მიმწოდებელი“ ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
7.2.3. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს “მიმწოდებელს“ წუნის აღმოჩენის შესახებ.
7.2.4. უზრუნველყოს “მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.6. დროულად განიხილოს “მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1. “მიმწოდებელს” უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. “შემსყიდველს” უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.

9. საგარანტიო პირობები

9.1. შესრულებულ სამუშაოზე ვრცელდება გარანტია სამუშაოს დასრულებიდან არანაკლებ 1 წლის განმავლობაში.
9.2. მიმწოდებელი შესრულებული სარემონტო სამუშაოების ხარისხზე იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.
10.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი დაფექტის აღმოფხვრის ან შეცვლისათვის საჭირო ზომების განსახორციელებლად, „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.4 დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.
12.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა მოლაპარაკებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13,2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.
15.2. სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.
15.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისთვის ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით.
15.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და სამუშაოთა ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს სამინისტროს საგანგებო სიტოაციების კოორდინაციისა და რეჟიმის შტატგარეშე მუშაკი გიორგი კახიძე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური სამმართველოს უფროსი გურამ გიორგობიანი და ადმინისტრაციული დეპარტამენტის შტატგარეშე მუშაკი ანა გოგბერაშვილი.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

18. ზოგადი პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.
18.2. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი გადაეცემა მიმწოდებელს.

19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი: N211333957
ქ. თბილისი, 0119, ა. წერეთლის გამზ. N144.
სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა N200122900

ალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე

მიმწოდებელი:

შპს „უნივერსალმშენი"
ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი
მ-12კმ. კორპ. #2, ბინა #4
საიდენტიფიკაციო კოდი: N404948991
სს საქართველოს ბანკი, კოდი BAGAGE22
ა/ა N GE15BG0000000937852800

კახა ასლამაზაშვილი
დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი
გ. კაკუშაძე
ი. აბრამიშვილი
გ. გიორგობიანი
ი. ქიტიაშვილი
ი. გვასალია
ა. გოგბერაშვილი
გ. კახიძე

შემსრულებელი: ბ. შუშიაშვილი

ობიექტის დასახელება:
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
ადმინისტრაციული შენობის ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

საფუძველი: დეფექტური აქტი

ხარჯთაღრიცხვო ღირებულება 4 949,80

№	შიფრი,ნორმ.№რესურს.კოდი	სამუშაოთა დასახელება	განზ.	სულ	მასალა		ხელფასი		ჯამი
					ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	12
		1. დემონტაჟის სამუშაოები							
1		კედლებიდან გაჯის ნალესის მოხსნა	კვ.მ.	40,00			1,50	60,00	60,00
2		კედლებიდან და ჭერიდან საღებავის მოხსნა	კვ.მ.	250,00			2,00	500,00	500,00
3		თაბაშირმუყაოს ჭერის დემონტაჟი	კუბ.მ.	7,20			2,00	14,40	14,40
4		შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან	ტონა	2,75			20,00	55,00	55,00
5		ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	ტონა	2,75			18,00	49,50	49,50
6		სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება	ტონა	2,75			18,00	49,50	49,50
7		ჯამი						728,40	728,40
8		ზედნადები ხარჯები	10,00%						72,84
9		ჯამი							801,24
10		მოგება	8,00%						64,10
		ჯამი 1							865,34
		2. სამშენებლო სამუშაოები							
		კედლების ლესვა გაჯის ხსნარით	კვ.მ.	40,00	2,50	100,00	4,00	160,00	260,00
		თაბაშირმუყაოს ჭერის მოწყობა	კვ.მ.	7,20	8,00	57,60	10,00	72,00	129,60
		პლასტიკატით ფოიეს მოპირკეთება	კვ.მ.	15,20	10,00	152,00	8,00	121,60	273,60
		კედლებისა და ჭერის დაზუმფარება და შეფითხვნა(2ფენა)	კვ.მ.	297,20	0,35	104,02	1,50	445,80	549,82
		კედლებისა და ჭერის შეღებვა წყალემულსიური საღებავით(2ფენა)		297,20	2,00	594,40	3,00	891,60	1 486,00
		ჯამი				1 008,02		1 691,00	2 699,02
1		ზედნადები ხარჯები	10,00%						269,90
2		ჯამი							2 968,92
3		მოგება	8,00%						237,51
4		ჯამი 2							3 206,44

		1+2 თავების ჯამი							4 071,77
1		მასალების ტრანსპორტი	2,00%						81,44
2		ჯამი							4 153,21
3		გაუთვალისწინებელი ხარჯები	1,00%						41,53
4		ჯამი							4 194,74
5		დღგ	18,00%						755,05
6		ჯამი							4 949,80

შემსრულებელი: შ.პ.ს. „უნივერსალმშენი"

დირექტორი: კახა ასლამაზაშვილი

_____

შპს "უნივერსალმშენი" LTD 404948991 "UNIVERSALMSHENI"

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „11" „ოქტომბერი" 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „უნივერსალმშენი"-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

გ. გიორგობიანი

ა. გოგბერაშვილი

გ. კახიძე

ბ. შუშიაშვილი